



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

**ოქმი N6**

ქ. მარნეული

31.03.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, რაგიმ ასკეროვი, რამიზ გულამედოვი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი.

**სხდომას ესწრებოდა:** მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2505 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2507 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 მარტის N1212-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 28 მარტის N1345-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მარტის N03/3273 წერილით შემოსული 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილები. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერით, რომელიც შეადგენს 3660.0 ათას ლარს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2505 წერილი წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საიმერლოში არსებული 30 382 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის (საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაღი, ეკლესია) საპატრიარქოსთვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული მიწა გადაცემული იქნა საპატრიარქოსათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 9 ივლისის N98 განკარგულებით, თუმცა შესაბამისი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და საჭიროა ამ პროცესის დასრულება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2507 წერილი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტზე გადმოცემული ორი ერთეული თვითმცლელი ნაგავშიშის ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 23 მარტის N03/2866 წერილი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტზე გადმოცემული ასი ერთეული ნაგვის ურნის ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 28 მარტის N1345-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N78ა“ ითხოვს საქართველოს ბანკის მარნეულის ფილიალის წინ ამკრძალავი საგზაო ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ დადგმას, ვინაიდან გაჩერებული

მანქანების გამო უჭირთ საცხოვრებელ კორპუსამდე გადაადგილება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. ბიუროს სხდომის დასრულებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ითხოვა საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებს დაემატოს ორი საკითხი: 1. მარნეულის სოფელ წერეთელში მცხოვრები კოკი ხარშილასის განცხადების განხილვის შესახებ; 2. პოეტ მახმუდ გაჯიხალილოვის განცხადების განხილვის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეექვსე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი